ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით რურუას

2020 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველების" წევრი, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 18 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 140 დადგენილება და 406 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 17 სხდომის მუშაობაში.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 10 სხდომის მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

შესწავლილი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში“ (კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი) ; 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში“ (კოდი: 020910-020919) ფარგლებში განხორციელებული სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი).

- 1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 – 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2. მრავალშვილიანი სტატუსის მქონე ოჯახების პრიორიტეტულ ჯგუფებად გათვალისწინება სხვადასხვა პროგრამებში; 3.ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 91,642 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.19.13.004.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 4.სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე პროექტები.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

- თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით ორგანიზებული გაცნობითი სახის შეხვედრა რაგბის კლუბ ,,რაშების“ წარმომადგენლებთან. სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ სამომავლო ღონისძიებების დასახვა.

- გასვლით სხდომაში მონაწილეობის მიღება დიდ დიღომში, სადაც მულტიფუნქციურ-საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. გასვლითი სხდომის ფარგლებში მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის მოსმენა, რომელიც მიმდინარე წელს განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებს შეეხება. ცენტრი დიდი დიღმისა და მთლიანად დედაქალაქის მაცცხოვრებლებს მოემსახურება. საზოგადოებრივ ცენტრში ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული, ასევე ტანვარჯიშის, სპორტული ორთაბრძოლების, ძიუდოს, კრივის, კარატესა და ჭიდაობის დარბაზები, ტრენაჟორების სივრცე და ფიტნეს სექცია, ორი საცურაო აუზი, საუნა, სპორტული ინვენტარის მაღაზია, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სახელოვნებოს სკოლა, ბოულინგი და სამაგიდო თამაშებისთვის განკუთვნილი ზონაც მოეწყობა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 14 სხდომის მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის:

- ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების

თაობაზე და დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების შესახებ ერთიანი ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ საკრებულოს დადგენილებებში ცლილების შეტანის შესახებ.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციისა და საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხების საკითხი.

- ქალაქის საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით და მეტროთი სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ საკრებულოს 2015 წლის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M 3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M 3კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო)რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ 13 სხდომაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში განვიხილავდი საკრებულოს სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, აგრეთვე ვიმსჯელეთ პანდემიით გამოწვეული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის პრობლემების მოგვარების ღონისძიებებზე.